მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №24

2022 წლის 16 მარტი

ქ. მარტვილი

ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო სამეურნეო(სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ: 41.09.37.230 ფართობი 992 კვ.მ) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის

მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტის, მარტვილის მუნიციპალიტეტის, გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის 2022 წლის 04 მარტის №13 წერილის შესაბამისად მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადასცეს ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება (სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ: 41.09.37.230 ფართობი 992 კვ.მ..
2. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უზუფრუქტის წესით გადაცემული ქონება 992 კვ.მ. (ს/კ 41.09.37.230) დაუბრუნდეს მესაკუთრეს, მარტვილის მუნიციპალიტეტს.
3. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა